

ბიბამ მიღახია
ნამოლვიპება



როდესაც მიწა შეზანზარდა, იმავე წამს ზღვაც შეტორგმანდა, თითქოს ფეხი დაუცდა ზღვას წყალქვეშა უფსკრულის თავზე ან - წაბორძიკდა. აცახცახდა ზღვის ზედაპირი და რყევა დაიწყეს სამივე დროში მცურავმა აფროსნებმა, ორჩხომელებმა, პაპირუსის ნავებმა, ტვირთმზიდავებმა, სეინერებმა, საოკეანო ლაინერებმა, კლიპერებმა, ლინკორებმა, კრეისერებმა, ფალუკებმა...

ვულკანმა ჯიუტად განაგრძო გამოლვიძება, გაბრაზებულივით.

იმ წუთებში ზღვის თავზე მფრინავ ცხენზე ამხედრებული მივქროდი, და როგორც ყოველთვის და ყველგან ურჩხულს დავეძებდი.

სანამ ზღვის შუაგულში მდებარე მთიდან ვულკანი ამოგიზგიზდებოდა, ცხენმა საზარლად დაიჭიბვინა, შეეცადა, ჩემთვის ამოეხედა, მაგრძნობინებდა, დადგა ის ნაწინასწარმეტყველი დროო. სწორედ, მაშინ ზღვის ადულებული ჯურლმულიდან ამოვარდნილი ურჩხული ზედაპირზე ამოგრიგალდა, შეშფოთებული და შეშინებული, ფრთების შეუილით, თითქოს იწვისო. მე უმალ მისკენ ჩამოვქანდი მაღალი ციდან, დედამიწაზე ჩემზე მლოცველთა სიყვარულით გამხნევებული, ამაყი, მოვალეობის გრძნობით დამუხტული. ჩვენი შებრძოლება გარდაუვალი იყო, ვევდებოდი, ისიც დაღალა ლოდინმა.

სწორედ მაშინ იღმუვლა მთამ და ვულკანმა ცეცხლი და ლავა ზღვას დაანთხია.

და განათდა ზღვის ზედაპირიც, ცაც და ხმელეთიც. საოცარი წუთით გასხივოსნებულ სივრცეში სულ სხვანაირი იერი მიიღო ყველაფერმა, სულ სხვა ფერი დაედო ურჩხულსაც და წამიერად გამოვფხიზლდი საუკუნოვანი სწრაფვიდან, და ვიფიქრე, რომ ურჩხული, რომელსაც ჩემთვის კუთვნილ მარადისობაში მოსაკლავად დავსდევდი და საკუთარ არსებაშიც კი დავეძებდი, ჩემი განუყოფელი ნაწილი გახდა. და თუ მას მოვკლავდი, საკუთარ თავსაც გავწირავდი და გავაქრობდი. სუნთქვა შეიკრა მიწამ.

და წამიერად მახვილიანი ხელი დაბლა დავუშვი.

ჩემმა მარადიულმა თანამგზავრმა, ცხენმა, გაიგო ჩემი ფიქრი და

ფრთების შრიალ-წივილით ღრუბლებისკენ აიჭრა.

იმავე წამს ურჩხულიც სადღაც გადაიკარგა. ისევ გაგვიქრა.

და დედამიწაზე ყველაფერი კვლავ ძველებურად გაგრძელდა - ჯაფა პურის მოსაპოვებლად, ომი, მშვიდობა, ღვთიური ჰარმონია - კეთილისა და ბოროტის, ლოცვისა და წყევლის, სიძულვილისა და სიყვარულის, სიბრძნისა და სიბრიყვის, იმედისა და უიმედობის.